ქ. თბილისი, გ. ჩუბინაშილის ქ. N49, ვ. ჭაბუკიანის სახელობის ქალაქ თბილისის N46 საჯარო სკოლის რეაბილიტაციის პროექტი

სახელოვნებათმცოდნეო კვლევა

ხელოვნებათმცოდნე:  გიორგი ჭანიშვილი

თბილისი 2015 წ.

1. ადგილმდებარეობა

სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს ქალაქ თბილისის ისტორიულ ნაწილში, ძველ კუკიაზე, დავით აღმაშენებლის პრ. №36, სუნდუკიანი ქუჩის დასაწყისთან. განსაზღვრულია ამ შენობის რეაბილიტაცია.



თბილისის არქიტექტურული ძეგლების რუკა (ფრაგმენტი)

პირობითი აღნიშვნები

- ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი (სარეკომენდაციო)
- ძეგლი
- ფონური
- რიგითი
- შეუსაბამო

ობიექტი ადგილობრივი მნიშვნელობის არქიტექტურული ძეგლია – ჩუბინაშვილის ქ. №49

ირგვლივ არქიტექტურულ ძეგლად აღრიცხულია:

საცხოვრებელი სახლები – ჩუბინაშვილი ქ. .№№42,44,46 ...;
საცხოვრებელი სახლები – კონსტიტუციის ქ. №51/17;

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის
2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი №1

რუკა შედგენილია თბილისის საყრდენი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „გეოფრაფიკის“ მიერ, 2007 წ.

1. გამოყენება:

თავდაპირველი – თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებელი;

შემდეგი – ვახტანგ ჭაბუკიანი სახელობის ქალაქ თბილისის №46 საჯარო სკოლა;

ამჟამინდელი – ვახტანგ ჭაბუკიანი სახელობის ქორეოგრაფიული სასწავლებელი;

2. სარეაბილიტაციო ნაგებობა

აგების თარიღი – 1950-იანი წწ;
შემკვეთი – პირველი გილდიის ვაჭარი ერასტი ჭავჭანიძე;
არქიტექტორი – არ არის ცნობილი;
არქიტექტურული სტილი – პოსტსტალინისტური სტილის ფასადი;

ისტორიული ცნობები – XIXს-მდე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, დღევანდელი აღმაშენებლის გამზ. ადგილას ქალაქური დასახლება არ არსებობდა და გაშენებული იყო სადედოფლო ბაღები. თბილისის ისტორიულ გეგმებზე 1850 წ-დე აქ, მხოლოდ ქაოტური დასახლებაა გამოსახული.

ამ უბანში ცხოვრობდნენ XIX ს-ის შუა ხანებში თბილისში ჩამოსახლებული ევროპელი, ძირითადად გერმანელი კოლონისტები და უბანსაც „თბილისის კოლონია“ ერქვა. გარკვეულწილად მათ განაპირობეს განაშენიანების რეგულარული ხასიათი. გაიყვანეს მტკვრის ზემო დინებიდან სარწყავი არხი და რწყავდნენ სახლების უკან მდებარე ბაღ-ბოსტნებს. აშენდა გერმანული ეკლესიაც – კირხა (იდგა მარჯანიშვილის მოედანთან)

ჯავახიშვილის ქუჩის ვექტორზე 1844 წლის გეგმაზე აღნიშნულია გზა ალექსანდერდორფისაკენ (ალექსანდერდორფი იყო გერმანელთა ერთ-ერთი დასახლება დიდუბეში). თბილისის 1867წ-ის გეგმაზე კი მტკვრის მარცხენა ნაპირზე უკვე ჩანს ქუჩების რეგულარული განაშენიანების ჩანასახი, რომელიც ბაღებზეა დაპროექტებული. ამ დროს უკვე არსებობს გ. ჩუბინაშვილის ქუჩა, თუმცა დასახელების გარეშე. აღმოსავლეთიდან განაშენიანება შემოსაზღვრული

იყო ავჭალის გზით. შემდეგში ამ გზაზე დაპროექტდა ავჭალის ქუჩა (შემდგომში საბჭოს ქუჩა. დღეს ა. ჩიქობავას და გ. ჩიტაიას ქუჩები).

ამ უბნის ინტენსიური განაშენიანება დაიწყო XIXს-ის II ნახევარში, როდესაც უბნის ცენტრალურ მაგისტრალად მიჩნეულ მიხეილის ყოფილი პროსპექტიდან (დღევანდელი დავით აღმაშენებლის, შემდეგ პლეხანოვის), დაიკვალა პარალელური ქუჩები: მტკვრისკენ უზნაძის (ყოფილი დიდი მთავრის, შემდეგ კამოსი); ზემოთ რკინიგზის სადგურისკენ – წინამძღვრიშვილის (ყოფილი ელისაბედის, შემდეგ კლარა ცეტკინის), ივ. ჯავახიშვილის (ყოფილი ნიკოლოზის, შემდეგ კალინინის), ეგ. ნინოშვილის (ყოფილი ალექსანდრეს) და გ. ჩუბინაშვილის (ყოფილი ანდრეევის, შემდეგ ორჯონოკიძის) ქუჩები.

გნაშენიანება პრაქტიკულად დასრულდა XXს-ის დასაწყისში. აქ არსებობდა ორ-სამ სართულიანი განაშენიანება.

უბნის განაშენიანება განსაკუთრებით დაჩქარდა XIX ს-ის 80-იანი წლებიდან, კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად. ამ ვითარებას ხელი შეუწყო აგრეთვე მიხეილის და ვერის ხიდების აგებამაც, რის შემდეგაც კუკია უშუალოდ დაუკავშირდა თბილისის ცენტრს.

XXს-ის 30-იანი წლებიდან შენდება 4-5 სართულიანი მოზრდილი ნაგებობები. XXს-ის II ნახევარში თბილისის სხვა უბნებთან შედარებით უბნის სტრუქტურა არ შეცვლილა და ქალაქმშენებლობითი ინტენსივობა ამ უბანს არ შეხებია. 1990-იანი წლებიდან ამ უბნისადმი დამოკიდებულება შეიცვალა და იგი თანდათან პრესტიჟულ უბნად ყალიბდება. ამან განაპირობა მმშენებლობის ინტენსივობის გაზრდა.



ხედი მთაწმინდიდან, 2009წ.

თავდაპირველი სახე და გეგმარება – ამ სახლის თავდაპირველად ჩამოყალიბებული ზოგადი სახე და გეგმარებება ძირითადად შენარჩუნებულია. სამწუხაროდ არქივებში არ აღმოჩნდა დაცული ნაგებობის თავდაპირველი პროექტი. 1960-იანი წლების საარქივო ფოტოზე აღბეჭდილია 1950-იანი წლების ბოლოს აგებული ამ სამსართულიანი სახლის შორი ხედი.



ხედი მთაწმინდიდან, 2009წ.

თვდაპირველი გეგმარება – ნაგებობაში შენარჩუნებულია თავდაპირველი გეგმარება ოდნავი ცვლილებებით – სამივე სართულზე მთელ სიგრძეზე შუაში დერეფანია, დერეფნის გაყოლებით კი სხვადასვა ზომის მართკუთხა ოთახებია ჩარიგებული. ეს სისტემა დარღვეულია I სართულზე ფასადის ორივე მხარეს ქუჩიდან და ეზოდან ცენტრში მოწყობილი შესასვლელი ვესტიუბულით, ხოლო III სართულზე შუაში მოწყობილია მოზრდილი სარეპეტიციო დარბაზი;

სამშენებლო ფენები – არსებობს ერთი თავდაპირველი სამშენებლო ფენა (მომდევნო გადაკეთებები უმნიშვნელოა და არ იცვლება ნაგებობის სტრუქტურა).

I – 1950-იანი წწ. – თავდაპირველი სარდაფში და სამივე სართულზე;

ტოპოლოგ. დამახასიათებლები – პოსტსტალინისტური სტილის საფასადო მორთულობა;

ორიენტაცია – ჩრდილო სამხრეთი გრძივი მიმართულება;

რელიეფი და ნიადაგი – მოვაკებული. ყავისფერი და ღიაყავისფერი თიხნარი;

გეგმა – ნაგებობა წაგრძელებული მართკუთხედის ფორმისაა. სამივე სართულზე შუაში გრძელი დერეფანი და მის გარდიგარდმო სხვადასხვა ზომის მართკუთხა ოთახები ერთ რიგად;

ეზო – მართკუთხა ფორმის, ერთ (ჩრდილოეთ) მხრიდან გახსნილი შიდა ეზო;

სართულიანობა – სამსართულიანი ნაგებობა;

3. სართულთა გეგმები

სარდაფის სართული –

ნაგებობას სარდაფი აქვს მხოლოდ ეზოს ფლანგის შუა ნაწილში. აგებულია წითელი აგურით (27.5ხ12ხ7სმ.). საყრდენი კედლები განიერია (85სმ). სარდაფის გადახურვა ბეტონის ფილით არის მოწყობილი ლითონის ორტესებურ კოჭებზე. ეზოს მხარეს სარდაფს აქვს გრძელი დერეფანი, საიდანაც მოწყობილია შესასვლელები ერთ რიგად ჩამწკრივებულ სხვადასხვა ზომის მართკუთხა სათავსებში. შესასვლელები მრუდწრეთარგიანია. სარდაფის დერეფანში ჩასასვლელი მოწყობილია ეზოში მდგომი დაფერდებული მოცულობიდან. ჩასასვლელ კიბეს ლითონის საფეხურები და მოაჯირი აქვს. 3.15მ-ის სიღრმის სარდაფის ფლანგის სათავსებში თითო კვადრატული (60სმ სიგანის) სვეტია მოწყობილი. ბოლო დიდ ოთახში, იატაკის პირზე, აგურის წყობის საქვაბე კამერა უნდა იყოს აგურითვე გადაყვანილი კამარით. იქვე ჩრდილოეთ კედელზე პილასტრია, რომელშიც საჰაერო შახტაა მოწყობილი.



სარდაფის სართული

I სართული –

მთელ სიგრძეზე შუაში დერეფანია და აქეთ-იქით ჩარიგებული ოთახები. დერეფნის შუა ნაწილს აღმოსავლეთისკენ (ეზოს მხარეს) თაღედი დაუყვება. შუა ნაწილში ქუჩიდან და ეზოდან სადარბაზო და ვესტიბიულია მოწყობილი. ეზოს მხარეს ვესტიუბულის გვერდებზე კიბის წაგრძელებული თითო უჯრედია დატანილია. უჯრედები ეზოს ფასადზე ნახევარწრიული რიზალიტებით იჭრება. კიბის საფეხურები სხმულია. მოაჯირი ლითონის. სართულის ღიობები ქუჩის ფასადზე თაღოვანია და ფართოვდება ინტერიერისკენ, ეზოსკენ _ მართკუთხა. დერეფანში და ვესტიბიულებში იატაკი გრანიტის ფილებისა. ოთახებში კი,

კვადრატული ფილების ფორმის პარკეტია დაგებული. მართკუთხა დერეფანი თაღებით არის დასახსრული. დამხმარე სათავსები და სველი წერტილები დერეფნის ორივე ბოლოშია მოწყობილი. ძირითადი საყრდენი კედლები განიერია _ 75-90სმ. ტიხრები _ 32სმ. სართულის სიმაღლე – h=3.70მ.



I სართული

II სართული –

მეორე სართული პირველის მსგავსია. განსხვავება ისაა, რომ მეორე სართულზე პირველი სართულის ვესტიუბულის ნაცვლად, ფასადის ორსავე მხარეს ოთახებია ჩამატებული. ეს არის სასწავლებლის ფუნქციის მქონე შენობის კლასიკური გეგმარება – შუა დერეფნით და განსხვავებული ზომისა და კონფიგურაციის საკლასო ოთახებით ფასადების მხარეს. ფასადებზე მხოლოდ სხვადასხვა ზომის სარკმლები გამოდის. სარკმლების წირთხლები პარალელურია. ქუჩის ფასადის ცენტრში განიერი ღიობებია, გოფრირებული ვიტრაჟებით. დამხმარე სათავსები და სველი წერტილები აქაც მართკუთხა დერეფნის ბოლოებშია მოწყობილი. იატაკი ყველგან პარკეტისაა. ძირითადი საყრდენი კედლები აქაც განიერია – 75-90სმ.

ტიხრები – 32სმ. სართულის სიმაღლე – h=3.95მ.



II სართული

III სართული და სხვენი –

III სართულის გეგმარება განსხვავებულია. ძირითადი პრინციპი აქაც გამეორებულია – გრძელი დერეფანი შუაში და ოთახები ფასადების მხარეს. თუმცა სართულის ფუნქციიდან გამომდინარე – აქ მოწყობილია სარეპეტიციო დიდი ზომის დარბაზები. ცენტრალურ, 300 მ2 დარბაზს, შუა დერეფნის სივრცეც აქვს ათვისებული. სარკმლების ფორმა და შუა დარბაზის ვიტრაჟები აქაც II საღთულის მსგავსია.



III სართული

ძირითადი საყრდენი კედლები აქაც იგივე ზომებისაა – 75-90სმ. ტიხრები – 32სმ. სართულის სიმაღლე – h=3.95მ.

სხვენი მოქცეულია ორქანობიანი სახურავის ქვეშ. საბურავი თუნუქისაა და ეყრდნობა ხის ნივნივებს. ნივნივები კი აგურის წყობის მართკუთხა სვეტებს. აქვს ექვსი სამერცხული.

4. მასალების სტრუქტურა, კონსტრუქცია, დაზიანება:

საყრდენი კედლები – ნაგებობა დაფუძნებულია ყორექვის წყობის ლენტურ საძირკველზე. ეზოს ფლანგის შუა ნაწილში მდებარე სარდაფის კედლები 85სმ სიგანისაა. გამოყენებულია წითელი აგური (27.5X12X7სმ.). უფრო განიერია ზედა სართულების საყრდენი კედლები – 70-90 სმ. საკმაოდ განიერია ტიხრები – 30სმ. სარდაფის ფლანგის სათავსებში თითო კვადრატული (60სმ სიგანის) აგურის წყობის სვეტია მოწყობილი;

კედლების სტრუქტურა – აგურის მკვიდრი წყობაა ცემენტის ხსნარზე. სართულებზე არის რკინაბეტონის ჩანართები. კონსტრუქციული კვლევით დადგინდა, რომ შენობას არ გააჩნია ანტისეისმური სარტყლები;

სართულშუა გადახურვა – ნაგებობის სარდაფში მოწყობილია ბეტონის 15სმ-იანი გადახურვა ლითონის ორტესებურ კოჭებზე. ასევეა გადახურული დერეფნები სართულებზე, სველი წერტილები და კიბის უჯრედების ბაქნები. ხოლო სართულების გადახურვა ტრადიციულია ხის მსხვილი კოჭებითა და ფიცრული იატაკით.

სახურავი – ორქანობიანი სახურავი თუნუქითაა გადახურული და ეყრდნობა ხის ნივნივებს. ნივნივები ეფუძნება აგურის წყობის მართკუთხა სვეტებს. სახურავს აქვს ექვსი სამერცხული;

საპირე მასალა – აქვს ქვის ფილების დაბალი ცოკოლი. აგურის წყობა შებათქაშებულია და დაფერილი ღიაყვითელად. ნალესობაში კვეთილი ფორმებია გამოყვანილი. სოფიტური ტიპის ცენტრალური ნაშვერი პარაპეტი ბეტონისაა.

ხის მასალა – გამოყენებული იყო კარ-სარკმელთათვის. ხით არის შეფიცრული სამხრეთი ფრონტნი.


კიბის უჯრედი, 2015წ.

კიბე – სამივე სართულის მომცველი კიბის ორი წაგრძელებული უჯრედია მოწყობილი ეზოს მხარეს ცენტრალური ვესტიუბულის გვერდებზე. უჯრედის საბრუნი ბაქნები აღმოსავლეთი ფასადის ნახევარწრიულ რიზალიტებშია ჩაწერილი. კიბეს სხმული საფეხურები, ლითონის მოაჯირი და ხის სახელური აქვს. მთლიანად ლითონის კონსტრუქციის კიბეა მოწყობილი სარდაფში ჩასასვლელად. ჯჯჯ სართულის

დერეფნის ჩრდილოეთ ნაწილში დამონტაჟებულია კედელზე მისადგმელი ლითონის კიბე სახვენზე ასასვლელად.

დაზიანება – ნაგებობა რამდენჯერმეა გამაგრებული – გაძლიერდა საძირკველი, მოიჭიმა შენობის ზედა სართულები, თუმცა მისი ფიზიკური მდგომარეობა კვლავ მძიმე და მწვავედ ავარიულია. დეფორმირებულია კედლები და გადახურვები, აქვს გამჭოლი 3-5 სმ-იანი ბზარები და ნაპრალები, დაზიანებულია საფასადო ნალესობა, დაზიანებულია ინტერიერის კედლები, იატაკი და ჭერი. საძირკველი და რკინაბეტონის საყრდენი კედლები მდგრადია და საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნით: „შენობის ფასადური ნაწილის დეფორმაციის და ბზარების ერთ-ერთი მიზეზი უნდა იყოს, კომუნიკაციებიდან გაჟონილი და ატმოსფერული ნალექების წყლების ზედაპირიდან ინფილტრაციის შედეგად ფუძე გრუნტების მუდმივი გაწყლიანება, რაც თავის მხრივ იწვევს გრუნტების სუფოზიას და მზიდუნარიანობის დაქვეითებას”. ამასთან, შენობის ავარიულობა განპირობებულია არასათანადო კონსტრუქციული გადაწყვეტებითა და ჩარევებით. ნაგებობა დაზიანებულია არქიტექტურული თვალსაზრისითაც: ინტერიერში მრავალჯერ არის ჩატარებული რემონტი, რითიც ბევრ შემთხვევაში დაკარგული აქვს თავდაპირველი სახე; დაზიანებულია საფასადო ნალესი კვეთილობები.



საფასადო დაზიანება, 2015წ.



ბზარები ინტერიერში, 2015წ.

5. ფასადები:



ფასადი ქუჩის მხრიდან, 2015წ.

ნაგებობის ფასადის სტრუქტურა როგორც ქუჩის ასევე ეზოს მხრიდან სიმეტრიულ ქარგზეა აგებული. ეს არის პოსტსტალინისტური არქიტექტურული ესთეტიკის სტილი, კლასიცისტური ფორმებისა და პროპორციების და ზედმეტად გეომეტრიზირებული და სტილიზებული კლასიკური არქიტექტურული ელემენტების გამოყენებით.

ღიაყვითელი ტონით დაფერილი სამსართულიანი ფასადი ქუჩის მხარეს ერთ მთლიანობად აღიქმება, თუმცა დაყოფილია სამ განსხვავებულ სიბრტყედ, როგორც შვეულად ასევე თარაზულად.

ცენტრში შვეული კომპოზიციაა – დაბლა მოზრდილი მართკუთხა სადარბაზო შესასვლელია მაღალი პილასტრებით. მის ზემოთ ორი სართულის მომცველი გოფრირებული მინის ტრიპტიქული ვიტრაჟი, დასრულებული სოფიტური პარაპეტის ქვეშ მოქცეული მეტოპებიანი და ტრიგლიფებიანი ფიგურულ რელიეფებიანი ფრიზით და სულ მაღლა ოვალური ფრონტონი რკალისებური ღიობით.

ფლანგებზე საჭექქვებიანი და ნალესი რუსტირებით ფლანკირებული თაღოვანი სარკმლების რიგია, ზევით – ორი სართულის მომცველი და გვერდებზე რუსტირებული პილასტრებით ჩაკეტილი მართკუთხა ჩარჩო ხუთ-ხუთი სარკმლით თითო სართულზე და სულ ზევით – ოვალური სადა ფრონტონები.

მძლავრად რუსტირებული სარკმლების რიგი და სადარბაზო ერთგვარი ცოკოლის ფუნქციას ასრულებს. ზევით ნაგებობის ძირითად სხეულს II და III სართულების საერთო ჩარჩოში ჩასმული სარკმლები და ცენტრალური ვიტრაჟი შეადგენს. ამ მასას კი, სულ მაღლა ამსუბუქებს ოვალური ფრონტონების ტალღა. ორქანობიანი თუნუქის გდახურვა ქუჩის მხრიდან არ აღიქმება.



ფასადი ეზოდან, მარცხენა ფლანგი



ცენტრალური ნაწილი, 2015წ.

ფასადი ეზოს მხარეს განსხვავებულია. სტრუქტურულად იგიც სიმეტრიულია. აგურის შეულესავი წყობის სამსართულიანი ფასადი აქცენტირებულია ფასადის მთელი სიმაღლის მომცველი ორი ნახევარწრიული რიზალიტით. ფასადს დაუნაწევრებელი ერთიანი სიბრტყე აქვს. მხოლოდ ზევით იკვრება თხელი თაროთი. სართულებს გაუყვება მოზრდილი მართკუთხა სარკმლების რიგები. რიზალიტების სარკმლები განსხვავებული, მაღალი პროპორციისაა. ამჟამად პირველი სართული და ფასადის მარჯვენა, ჩრდილოეთი ფლანგი შელესილია. ცენტრში პირველ სართულზე სამი შესასვლელია. შესასვლელების წინ ლითონის მილებზე მოწყობილია ერთქანობიანი საჩრდილოებლი.

საჩრდილობლის მარცხნივ რიზალიტთან სარდაფში ჩასასვლელი კარია მოწყობილი დაფერდებულ მოცულობაში.





ჩრდილოეთი მოკლე ფასადი, სამხრეთი მოკლე ფასადი, 2015წ.

გვერდითი ფასადები სადაა. ჩრდილოეთი ფასადი მთლიანად შელესილია და დასრულებულია ოვალური ფრონტონით. ფასადის ცენტრში დატანილია შუა დერეფნების ვიწრო და გრძელი მართკუთხა ღიობები. ერთი მართკუთხა კვადრატული სარკმლის ღიობია ფრონტონში. სამხრეთ ფასადზე მიდგმულია მეზობელი ორსართულიანი სახლი. მისი მესამე სართულის ფასადი შეულესავი აგურის წყობისაა. აქ მოგვიანებით გაჭრილია მართკუთხა სარკმელი. ფასადი ზევით სრულდება სხვენის ორქანობიან გადახურვაში მოქცეული შეფიცრული სამკუთხა ფრონტონით.

წყობის ტექნიკა – აგურის მკვიდრი წყობა ქუჩის და ჩრდილოეთის ფასადებზე შელესილია და გამოყვანილია პროფილირებული გეომეტრიული და ფიგურული დეკორაციული კვეთილობა. დაფერილია ღიაყვითლად;







ცენტრალური ვიტრაჟი და ქუჩის ფასადის სარკმლები, 2015წ.



ეზოს ფასადის სარკმლები,



შესასვლელი ჟუჩიდან,



სადარბაზო, 2015წ

ღიობები, სარკმლები და კერები – ფასადის ცენტრში ორი სართულის მომცველი; ტრიპტიქული ვიტრაჟია მოწყობილი. ვიტრაჟი მართკუთხა ალათებით არის დასახსრული. მინა გოფრირებულია. ცენტრალურ ვიტრაჟს გვედებზე აუყვება მსგავსად მოწყობილი შვეული ცალფა ვიტრაჟები (ზედა მართკუთხა მონაკვეთების გოფრირებული შემინვა სამწუხაროდ შეცვლილია ლითონ-პლასტმასის ალათებით). I სართულის ფლანგებზე საჭექქვებიანი და ნალესი რუსტირებით ფლანკირებული თაღოვანი სარკმლების რიგია, ლითონის ცხაურით (აქაც თავდაპირველი შემინვა შეცვლილია ლითონპლასტმასის ალათებიანი შემინვით). ეზოს მხარეს მართკუთხა სარკმლები მთლიანად გამოცვლილია ლითონპლასტმასის ახალი ალათებიანი შემინვით



ფიგურული რელიეფი, ტერფსიხორა ქმაწვილების გარემოცვაში, 2015წ.

6. ინტერიერი:



ვესტიბიული ეზოს მხარეს



სადარბაზო ქუჩის მხრიდან

სადარბაზო და ვესტიბიული –. ქუჩის ფასადის შუა შესასვლელიდან ვხვდებით მოზრდილ სადარბაზოში, ეზოს მხრიდან კი მოწყობილია ვრცელი ვესტიბიული. მართკუთხა სადარბაზო მარტივად არის მოწყობილი, ყოველგვარი გაფორმების გარეშე. წინკარიდან სამი საფეხურით ავდივართ შემაღლებულ ბაქანზე. სადარბაზო პირველი სართულის შუა დერეფნისკენ იხსნება თაღოვანი ღიობით რომელშიც ოთხალათიანი კარია დატანილი. ეზოდან შესასვლელი ვესტიბიული უფრო ვრცელია. კედლები აქაც გაფორმების გარეშეა. იატაკი გრანიტის ფილებით არის მოგებული. შუა დერეფნისკენ ოთხკუთხა სვეტებზე გადაყვანილი თაღოვანი ღიობებია.



პირველი სართულის დარბაზი



მესამე სართულის დარბაზი

დერეფნები, ოთახები და დარბაზები – ყოველგვარი დეკორაციული გაფორმების გარეშეა სამივე სართულის ინტერიერი. დერეფნებში ქვის ფილებია, სხვადასხვა ზომის მართკუთხა ოთახების იატაკზე პარკეტია დაგებული, სარეპეტიციო დარბაზებში ფიცარნაგია, კედლები კი მარტივად არის შელესილი და შეთეთრებული.





ფლიგელი და ეზო, 2015წ.



ხედი ეზოსკენ ჩრდილოეთიდან, 2015წ.

ეზოში L-ის ფორმის ერთსართულიანი ფლიგელია, მოკლე ორი ქანობით გადახურული მონაკვეთით მიდგმულია ძირითად ნაგებობაზე, ფლიგელის წაგრძელებული მონაკვეთი კი, ცალქანობიანია. ფლიგელი უკანა კედლით

მიდგმულია მეზობელ შენობაზე, წინა მხრიდან კი, ძირითად ნაგებობასთან ერთად შემოფარგლავს სამ მხარეს შეკრულ მართკუთხა ეზოს.

ფლიგელი აგურით არის ნაშენი. კედლები 55ს. სიგანისაა. ოთახები ერთ რიგად არის გამწკრივებული. სიმაღლე გარედან 3.55სმ. მთელ რიგზე გაუყვება მართკუთა ფორმის ორალათიანი სარკმლები, ზევით ორად გაყოფილი ფრამუგით. საბურავის ერთი ნაწილი თუნუქისაა, მეორე აზბოცემენტის. წინწამოწეულ ცოკოლზე დგას შელესილია და დაფერილია ვარდისფრად. ძირითად ნაგებობაზე მიდგმული მონაკვეთი ფრონტონიანია, შუაში ორფრთიანი შესასვლელი კარით. ფრონტონი შელესილია. აქვს თუნუქის ორქანობიანი გადახურვა. ჭერის გადახურვა ხისა. შესასვლელების თავზე ბეტონის ნაშვერი წინფრებია.

7. დოკუმენტაცია:



ხედი მთაწმინდიდან, 1970-იანი წწ.

საარქივო ფოტოები – შემორჩენილია XX საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის რამდენიმე პანორამული ფოტო სადაც აღბეჭდილია ეს უბანი, თუმცა სახლი აღბეჭდილია მხოლოდ შორი ხედით და ნაგებობა ამ ფოტოებზე ძნელად გაირჩევა;

8. შეფასება:

კულტურულ-ისტორიული – იგი ძველი თბილისის XXს-ის შუა პერიოდის საგანმანათლებლო ფუნქციის ნაგებობაა და დაკავშირებულია ვახტანგ ჭაბულიანის სახელთან;

მხატვრულ-არქიტექტურული – სახლი ორგანულად არის ჩაწერილი თბილისის ამ უბნის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში და მორგებულია ადგილს. თავისი სტრუქტურითწეს ნაგებობა საინტერესოა, როგორც XX საუკუნის შუა პერიოდის თბილისის საგანმანათლებლო ფუნქციის ნაგებობა განსაზღვრული სტილის (პოსტსტალინისტური ფასადის) და სამშენებლო ხელოვნების ერთ-ერთი ეტაპის ამსახველი რეალობა. სახლი თავისი მოცულობითა და დეკორით შემკული ფასადებით, მიკროუბნის დომინანტს წარმოადგენს. შენობა მკაფიო აქცენტს ქმნის და განსაზღვრავს განაშენიანების ხასიათს.

სტატუსი – ეს ნაგებობა მიჩნეულია საქართველოს ადგილობრივი მნიშვნელობის არქიტექტურულ ძეგლად.



საადრიცხვო ბარათი

საქართველოს კულტურის,
ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის
2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების
დანართი №1

დასკვნა და რეკომენდაციები:

ეს ნაგებობა არქიტექტურული ძეგლია და მისთვის ეს სტატუსი მნიშვნელოვანწილად მინიჭებულია როგორც ნაგებობის საფასადო გაფორმების, ასევე გეგმარებითი სტრუქტურის გამო.

საარქივო და ადგილზე ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა შემდეგი:

1. სახლი აგებულია 1950-იან წლების ბოლოს გამოჩენილი ქართველი ბალეტმეისტერის ვახტანგ ჭაბუკიანის ძალისხმევით;

2. უკანასკნელ ათწლეულებში ნაგებობამ იცვალა ფუნქცია. ამ ნაგებობებში მოხდა გარკვეული სტრუქტურულ-გეგმარებითი ცვლილება. რამდენჯერმე ჩანს ჩატარებული ინტერიერის და ფასადების რემონტი;

3. ეზოში ძირითად ნაგებობაზე მიდგმული L-ის ფორმის ერთსართულიანი ფლიგელი იგივე ნომრით არის აღრიცხული, თუმცა არქიტექტურული თვალსაზრისით არაღირებულია და არ წარმოადგენს ძეგლის კომპლექსურ ნაწილს;

საფასადე ცვლილებები:

4. ქუჩის ფასადის მხატვრული გაფორმება მთლიანად შენარჩუნებულია რამდენიმე გამონაკლისის გარდა – შეცვლილია ცენტრალური ვიტრაჟის ფლანგების ზედა და ქვედა სარკმლების ალათები ლითონპლასტმასით;

5. შეცვლილია ასევე თაღოვანი სარკმლების თავდაპირველი ალათები ლითონ-პლასტმასის ახალი მოჩარჩოებით და დამატებულია ახალი მხატვრული სახის ცხაურები;

6. შელესილია ეზოს ფასადის მარჯვენა ჩრდილოეთი მონაკვეთი. დამატებულია ლითონის მილებზე შემომდგარი საჩრდილობელი I სართულის ცენტრალური ნაწილის წინ;

ინტერიერის ცვლილებები:

7. ინტერიერის თავდაპირველი მხატვრული სახე ძირითადად ყველგან შემორჩენილია, თუმცა რამდენიმე ადგილი გადაკეთებულია;

8. შეცვლილია თავდაპირველი პარკეტის იატაკები;

9. ნაწილობრივ შეცვლილია შენობის III სართულის ინტერიერის გეგმარება და მხატვრული სახე სხვადასხვა მასალის ტიხრებით;

10. დაზიანებულია კედლების და ჭერის შელესილობა;

11. შეცვლილია სადარბაზოდან დერეფანში შესასვლელი კარის ფორმა და მისი ალათები;

რეკომენდაციები:

12. პირველ რიგში მნიშვნელოვანია სარდაფის ორტესებური კოჭების და ბეტონის დაზიანებული გადახურვის შეკეთება და გამაგრება. აღსადგენია შელესილობა ფასადებზე და დასადგენია ფასადის თავდაპირველი ფერი ბათქაშის ნიმუშების ანალიზით. კონტრასტულად არის დასაფერი ფასადის სხვადასხვა ნაწილები – კვეთილი შემკულობა, ლავგარდანები, პილასტრები და ნახევარსვეტები;

13. აღსადგენია შეცვლილ ღიობთა ფორმა და ალათები. აღდგენა შესაძლებელია ადგილზე კვლევისა (ზონდაჟები, ლაბორატორიული კვლევები) და ანალოგიების მოძიებით;

14. ქუჩის ფასადის ცენტრალურ ნაწილში აღსადგენია დამტვრეული გოფრირებული მინის ვიტრაჟი. ხოლო გვერდითი ზოლის ვიტრაჟის ზედა ღიობების შეცვლილი ალათები და მინები გამოსაცვლელია და აღსადგენია გოფრირებული ვიტრაჟის თავდაპირველი სახე;

15. მოსაწესრიგებელია და შესაკეთებელია საწვიმარი მილები;

16. შესაკეთებელია და აღსადგენია თაღედების სისტემა ეზოს მხრის ვესტიბიულში;

17. ეზოს მხარეს პირველი სართულის შემინული ნაწილები მოსაწესრიგებელია ერთი ტიპის ალათებითა და შემინვით;

18. მნიშვნელოვანია სადარბაზოსა და კიბის უჯრედის მოწესრიგება, სხმული საფეხურებისა და ბაქნების დაზიანებული ნაწილების გამაგრება და აღდგენა. ინტერიერის ნალესობის ბზარების შევსება და ხელახლა შელესვა. სასურველია ასევე ინტერიერში შემორჩენილი მხატვრული ელემენტების – პარკეტის და ფიცარნაგი იატაკების, გამაგრება და მოხსნილი იატაკების დაბრუნება თავის ადგილზე;

19. შესაძლებელია ინტერიერში ტიხრების გადაგეგმარება;

20. არ არის სასურველი თაღების ამოშენება;

21. სასურველია სამხრთ ფასადზე არ შეილესოს აგურის წყობა და არ ამოშენდეს და აღდგეს სხვენის ხის ფრონტონი;

22. არქიტექტურული თვალსაზრისით ეზოში არსებული მინაშენი არ არის ღირებული და მისი დემონტაჟი შესაძლებელი ჩანს. თუმცა მისი შენარჩუნებაც დასაშვებია თუ ეს მოცულობა საჭირო იქნება სასწავლებლის საქმიანობისთვის. ამ შემთხვევაში სასურველია მისი აღდგენა თავდაპირველი ღიობების ფორმითა და არქიტექტურული დეტალებით. ხოლო მისი დემონტაჟის ან/და ადაპტაციის შემთხვევაში აქ ახალი მოცულობა გაჩნდება და ამიტომ საჭირო იქნება ხელახალი პროექტირება და კვლევა;